№ 266 დეკემბერი 15, სამშაბათი 1892 დეკემბერი 15, სამშაბათი № 266

გაზეთის ფასი

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისში რედაქციაში, კუკიაში, ავშნელის ქუჩაზედ, გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებაში, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამ ნომერში ათი გვერდია.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 13 დეკემბერს,

ვალ. გუნიას საბენეფისოდ

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა

ქოლალატე

დრამა 5 მოქმ. წარსულ ცხოვრებიდგან გადმოკეთ. **ვალ. გუნიას** მიერ

II

ზართი-ფართი საქმე

ვოდევილი 2 მოქ. გადმ. **ვალ. გუნიას** მიერ

მოსაწვეობას მიაღებენ: ქ-ნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მძინაროვისა, ტარიელოვისა, სარიძისა; ბ-ნი: აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, მჭედლიშვილი, გუნია და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს სოშურეტო ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის ლოტოსთრობით. მოთხუ მოქმედებაში რატიდის ხორა შესრულებს „ურმული“ და „მსდრული“ სიმღერებს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია შეგირდებისთვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

დასწყისი სწორედ 8 საათზედ

ადმინისტრატორი **გალ. გუნია.**

ტფილისი, 13 დეკემბერი

ამ ჟამად პეტერბურგში ემზადებიან ერთის დიდის რეფორმისათვის: აპირობენ დაარსონ ახალი სამინისტრო მეურნეობისა. ამ გადაწყვეტილებას დაადგა უმთავრესი მთავრობა მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდა, თუ რა დიდს გაჭირებაშია რუსეთის გლეხ-კაცობა, რომლისათვისაც მეურნეობაა უმთავრესი წყარო ეკონომიურ კეთილდღეობისა. მართლა და, ამ გაჭირვებას საზღვარი არა აქვს: სახნავ-სათესის მამულების სიმცირემა და სიცოტავემ რუსეთის ზოგიერთს ადგილებში თავი იჩინა ჯერ ისევ ამ ოც-და-ათის წლის წინდვე, როდესაც ის-ის იყო ახთავისუფლებდნენ გლეხებს და აუქმებდნენ ბატონ-ყმობას. მამულების სიმცირეს მოემატა მათი სიმწირეცა. ხოლო მწირის მამულის განაყოფიერებისთვის, შესაფერ სამეურნეო სწავლა-ცოდნას გარდა, სხვა ბევრი რამ არის კიდევ საჭირო. დიდი ხანია, რაც რუსეთში შესამჩნევად იკლო მოსავალმა; ამერიკისა და ავსტრალიის კონკურენციის გამო, შუა რუსეთში ძირეულ დაეცა ფასები, როგორც ჰურისა, აგრედვე სხვა გვარ სამეურნეო ნაწარმოებისა. რუსეთის გლეხ-კაცობა-კი სწორედ ამ გვარ ნაწარმოების გასყიდვით სულდგმულობს და ხელს ინაცვლებს. ამ უკანასკნელ ხანს ხშირად ისმოდა ხმა შიმშილობისა ზოგიერთს გუბერნიებში, და წარსულ წელს ხომ საშინელი სიმშილობა ჩამოვარდა თითქმის ნახევარ რუსეთში.

როდესაც ამ გვარად გლეხ-კაცობას ნელ-ნელა და თანდათან უწუდებიდა ლუკმა-პურის შოვნის ილაჯი, ამავე დროს სახელმწიფო ხაზინასაც ძლიერ ემატებოდა ხარჯი. რუსეთის ხაზინა, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის მარტოდ-მარტო ამ მეურნეობის შემწეობით ივსება. 1885 წელს მთელს რუსეთში მოგროვდა სხვადა-სხვა გადასახადის ფული 663 მილიონი მანათი. შემდეგის რვა წლის განმავლობაში ეს გადასახადი ყოველ-წლივ მატულობდა და, აი, ამ მომავალს წელს სახელმწიფო ხაზინას იმედი აქვს მოაგროვოს 886 მილიონამდე... რვა წელიწადში უჩინდელს გადასახადს ერთი მესამედი მოემატა, ხოლო სახელმწიფო შემოსავლის წყარონი სულ ილეწადა, რადგან ბაეებს ემატებოდა. ზოგიერთი ბაეები იმ ზომამდე იქმნა აწეული, რომ ამ მომატების გამო, მათმა შემოსავალმა შეასამჩნევად იკლო. 1888 წელს, მაგალითად, როგორც ჰმოწმობს გაზ. „Русскія Вѣдомости“, სპირტს მოუმატეს აქციზი: 9 კაპეიკის მაგიერ გახადეს $9^1/_4$ კაპ. გრადუსზე. პირველს წელიწადში ესე იგი, 1889 წ., შემოსავალმა იმატა, სპირტის აქციზმა შემოუტანა ხაზინას 275 მილიონი მანათი, მაგრამ შემდეგ დაიწყო კლება: 1890 წ. შემოვიდა 268 მილიონი, 1896—246 მილიონი. ამ გვარად, როდესაც ხალხის საზოგადო შემოსავალს აკლდება, და ხარჯსა და გადასახადს-კი ემატება, მაშინ ხალხი იწუებს მომჭირნეობას და აღარცა სჭამს და აღარცა სვამს იმას, რაც ძვირია და რაზედაც ხელი ვედარ მიუწვდება, სიღარიბის გამო. ამ სახით, სპირტიც ნაკლები გაეიდულა და გარდასახადს იმდენად უკლია, რომ, თუმცა აქციზი მოემატა, მაინც ჩვეულებრივმა შემოსავლმა-კი ორის წლის განმავლობაში 29 მილ. იკლო. მართლაცა და, როდესაც მოხარჯეს სიმდიდრის წყარო, არამც თუ არა მატულობს, არამედ კლებულობს, მაშინ, ცხადია, უოველ გვარ ხარჯის მომატებამ ხაზინის შემოსავალსაც ბევრი უნდა დააკლოს. გარდასახადი მაშინ უნდა ემატებოდეს ხალხს, როდესაც სიმდიდრეც ემატება.

ვინც გარგად დაუკვირდება გლეხ-კაცის ცხოვრებას რუსეთში, ძირეულ უნუგეშო სურათს დაინახავს: მისი შემოსავალი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მარტო მეურნეობისაგან წარმოსდგება. ეს შემოსავალი კლებულობს; გლეხს ვალი და გარდასახადი ემატება და ის მცირედი „ნადელი“, რომელითაც სულდგმულობს, ვერ შეუმუშავებია, რადგანაც სახელმწიფო გადასახადისათვის საქონელს ჰყიდის ძალა-უნებურად. ამასობაში, „ნადელიც“ ხელიდგან მისდის და ცარიელ-ტარიელი გლეხ-კაცობა მიეჩვარება ან ციმბირს, ან სამხრეთ რუსეთისაკენ ახალ ბინის, ან და რაიმე სამუშაოს საშოვნელად...

სამეურნეო სამინისტრომ, ცოტად თუ ბევრად, უნდა დაიხსნას მთელი რუსეთი ამ გვარ სამინელ მდგომარეობისაგან. თუ როგორ არის ამ ჟამად ახალ სამინისტროს დაარსების საქმე, ამაზედ მკითხველებს შემდეგ მოველაპარაკებით.

ნიკ. კავკასიძე

ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. ს. ა. შერემეტიევი გუშინწინ, 13 დეკემბერს, მცხეთას გაემგზავრა.

*** ხვალ, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი თეატრის ადმინისტრატორისა და არტისტისა ბ-ნ ვალ. გუნიასი. წარმოადგენენ მობენეფიშეს ორს ახალს პიესას. ერთია „მოლალატე“, ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, ხოლო მეორე ვოდევილია 2 მოქმედებად და ეწოდება „ზართი-ფართი საქმე“, ანუ საქმე დედაკაცისა. როგორც გვიამბეს, პიველს პიესაში მოქმედთა შორის არის პატარა კახი, მეფე ქართლ-კახეთისა ერეკლე II, და მისი მსაჯული სოლომონ ლეონიძე. მოქმედება სწარსოებს 1748 წელს, როცა ამდენ-ბევ იასეს ძეს მიემხრნენ განჯისა, ყარაბაღისა და დაღესტნის ხანები და გამოილაშკრეს ტფილისზედ.

როგორც სჩანს, ეს ბენეფისი ფრიად საინტერესო საღამო იქნება.

*** გუშინ-წინ, 13 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იყო მესამე მოქმედება ისტორიულ დრამისა, „ბაგრატ VI“ და „ზოგი ჭირი მარგებელია“, კომ. გუნიასი. კომედიამ მხიარულად ჩაიარა. დივერტისმენტში ბაბაშიძემ და გედევანიშვილმა შეასრულეს კომიკური კუპლეტები. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** დღეს, 15 დეკემბერს, დანიშნული საგანგებო კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, საფრანგეთის მეცნიერის პასტერის პატივსაცემლად, 70 წლის იუბილეის გამო. კრებაზედ წაკითხულ იქნება: 1) ადრესი და მისალოცი დეპეშა, საზოგადოების მიერ პასტერთან გასაგზავნი; 2) მოკლე ბიოგრაფია პასტერისა და მის მოღვაწეობის მიმოხილვა (ლუნკევიჩი); 3) პასტერისებური ცობის აცრის სადგურები (ფინკელშტეინი); 4) პასტერის ინსტიტუტი (რუდენკო); 5) პასტერის ინსტიტუტში ხოლერის აცრა (თამამშოვი).

*** გუშინ, 14 დეკემბერს, დანიშნული იყო ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში გასყიდვა ვექსელებით იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმაც თავის დროზე არ შეიტანეს ხვედრი გადასახადი. გასასყიდად იყო დანიშნული სულ 12 მამული ქალაქისა. გაიყიდა 7 მამული, დარჩა მეორე ვაჭრობისათვის 5 მამული ქალაქისა. დღეს, 15 დეკემბერს, დანიშნულია ვაჭრობით გასაყიდა სოფლის მამულებისა.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო „ქრონიკების“ დასაკვეთად ღვ. ა. ნ. გულისაშვილისაგან 3 მ. თავ. იასონ დავითის ძის ცინცაძეშვილისაგან 3 მ. ბლაღ. მღვდლის არისტარხ კალანდარიშვილისაგან 3 მ. მთავარ-დიაკონის ლუკა ხოშტარიასაგან 3 მ. დიაკონის გიორგი გეგეჭკორისაგან 3 მ. და მღვ. კაპიტონ გაწერელიასაგან 3 მ. ამ ფულისა გვქონდა 193 მან. ამითი შესდგა 211 მან.

*** ტფილისის სამუსიკო საზოგადოება საყოველთაოდ აცხადებს, რომ 27 დეკემბერს დღისით, 12 საათზედ, სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში გადახდილ იქნება 30 წლის იუბილეი ა. ო. მიზანდარის მოღვაწეობისა.

*** შაბათს, 12 დეკემბერს, ამაღლების ქუჩაზედ, კარდახჩევის სახლში,

---

ფელეტონი

ქრისტინე

(მოთხრობა)

III *)

ერთი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც იასონმა ქრისტინეს ფიცი მისცა—ცოლად შეგირთამო. ნაღვლიანის სახით იჯდა ქრისტინე კერასთან, ერთი ხელი თავზე ჰქონდა შემოდგმული და მეორეთი არწევდა აკვანს. სახეზე ძლიერ გამხდარიყო; თვალებში, რომლებიც თითქო უფრო დადიდრონებოდნენ, რაღაც ნაღველი და უიმედობა ეხატებოდა. ჩჩვილი, თოვლივით თეთრი ბავშვი, რომელსაც პირ-შიშველად ეძინა ღარიბ, ძველსაგებიან აკვანში, ხანდახან შეაცმაცუნებდა ტუჩებს, თითქო ძილშიაც დედის ძუძუს სწოვსო. ნაღვლიან მდუმარებაში ქრისტინეს ნელ-ნელა გაეცსო თვალები ცრემლით და ბოლოს მსხვილ-მსხვილ ცვარებად გადმოუგორდა გამხდარ ლოყებზედ.

— ათასჯელ გაგამთხილე, დედაშვილობას, ყოლ წუთში ტირილს ნუ მაყურებიებ! გვეყოფა დედ-მამაშენს, რაც გვტირს! მაინც დაბნელებულია და კიდევ უფრო ბნელდება ჩემი საძაღლე გული, შენ რომ ასე მტირალს გხედავ! ტირი და ტირი! ნუ გეშინიან, შენი ოჯახის მეტს, არა კაცს არ აწუხებს შენი ტირილი! მწარე საყვედურით უთხრა დედამ ქრისტინეს.

დედის საყვედურმა, დამშვიდების მაგიერ, კიდევ უფრო მოუმატა ქრისტინეს ცრემლები, რომლებსაც ჯერ პირის მოსიდებით ჰფარავდა, მაგრამ ბოლოს-კი წასკდა ისეთი მძლავრი ტირილი, რომ გული ამოეგლიჯებოო, გეგონებოდა. ტირილდა გულზე სევდის მომდების, გაგრძელებულ-კვნესარე ხმით. ქრისტინეს ცრემლები ჩაეწვეთა მძინარე ბავშვს აკვანში, გამოაღვიძა და ეხლა იმისი ჩხავილი და ტირილიც უერთდებოდა ქრისტინეს ტირილს.

— მადლობა ღმერთს, რომ მამაშენი არ შეგხვია ამ ტირილზე! ათასჯელ-კი გითხრა: მეყოფა, რაც მჭირს, ტირილი აღარ გამაგონოვო! უთხრა მარიკამ ქალი-შვილს წყრომით.

— რა გინდებიან? აა, თუ გაკეთდებით, მომკლით! ვინ გიშლის, მომაკლით! მე კიდეც მირჩევნია, თუ მომკლავთ! ტირილით ამბობდა ქრისტინე.

— ღმერთო, რა დღე მომასარი ავი! მწუხარებით წამოიძახა მარიკამ, ერთი მწარედ ჩაიკრა გული ხელი, მეორე გადაიარა ქრისტინესკენ, ამოიყვანა ბავშვი და დაუწყო ფერება. ბავშვი დეთხოვა ტირილს, ცმუკავდა და უცაცუნებდა მარიკას პირზე თავის პაწია ხელებს. „ღმერთო, რა ანგელოზია!“ ჩუმად ჩაილაპარაკა მარიკამ, დაკოცნა ბავშვი და შემდეგ კიდევ ჩაილაპარაკა თავისთვის: „ნეტა ერთი დღეი არ აკოცებდა მარიკაი დაგი კანონიერი შვილი იყოს!“

ამასობაში ქრისტინემაც მოიკერა

გული ტირილით, მოიწმინდა ცრემლისაგან დაწითლებული თვალები, შემდეგ გამოართვა ბავშვი მარიკას და ჩაუდო ძუძუ პირში. ბავშვი რავდენსამე წამის განმავლობაში ხარბად ეწაფებოდა ძუძუს, მაგრამ აღრე მოიკერა გული და მოჰყვა ქრისტინეს კალთაში ცელქობას. ქრისტინეს აღარ მოუთმინა გულმა, სიყვარულით სავსე თვალები დააშტერა ბავშვს და ჩუმად ჩაკოცნა.

ეს ჩჩვილი ბავშვი ქრისტინეს შვილი იყო. როგორც ამ მოთხრობის თავში მოვიხსენიე, ფიცის დადების შემდეგ ქრისტინე და იასონ ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს ერთხელ აჩენილს წიფლის ძირში და ხანსვე-განაც. ქრისტინე სრულად მიენდო იასონს, რომელიც იმედებ-

*) იხ. „ივერია“ № 263.

კოლეჯსკის სოვეტნიკს ივილოვს გაუხდა ხუნაგით ავად 3 შვილი. ამ ბავშვებს ექიმები პანტიუხოვი და ბაბოვი სწამლობენ. ხუნაგის გარდა, ყვავილიც არის ფფილისში. 10 დეკემბერს სპარასეთის ქვეშევრდომს სოლომონ ივილოვს გარდაეცვალა ყვავილით 4 წლის შვილი.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს აქვს თავისი საკუთარი მაშინა თეატრისა და ქარავსლის ელექტრონით განათებისათვის. სასახლის ქუჩის რამდენსამე სახლის პატრონებმა, მათ შორის სარაჯიშვილმა და ლალაშვილმა სთხოვეს ბანკის მმართველობას, სახლები ელექტრონით გაგვინათეთო. ქალაქის გამგეობამ ამის ნება დართო ბანკს და თან ის პირობაც ჩამოართვა, რომ პირველსავე თხოვნაზე, ელექტრონის მანქანა გაუქმებულ იქმნასო. ამის შემდეგ ბანკის გამგეობამ საგუბერნიო სამმართველოს წარუდგინა ახალი პროექტი შესახებ იმისა, რომ გამართულ იქმნას ელექტრონით განათება თიმაშევის ქარავსლისა და მირზოევის სახლებისა. საგუბერნიო შენობათა კანყოფილებამ მოიწონა ეს პროექტი, და ბანკის გამგეობამაც ამ საქმის შესახებ განკარგულება მოახდინა. გაიგო თუ არა ეს ამბავი ქალაქის გამგეობამ, საგუბერნიო სამმართველოს დაეკითხა, რა უფლებით მიეცა ბანკს ნება თამაშევის ქარავსლისა და მირზოევის სახლების ელექტრონით განათებისაო. გუბერნატორმა უპასუხა, ჩვენ მხოლოდ პროექტი მოვიწონეთ, ხოლო სახლების ელექტრონის განათების ნება არ მიგვიციაო, და ეს უფლება ქალაქის გამგეობას ეკუთვნიო. ამის შემდეგ ქალაქის გამგეობამ მისწერა ბანკის მმართველობას, რომელ სახლებშიაც-კი ელექტრონია გაყვანილი, 1893 წლის 1 იანვრიდან, ყველგან გააუქმეთო. ახლა-კი საქმე სხვა ნაირად გამოირკვა. თურმე ბანკის კონტრაგენტს აიეზოვს გაუმართავს ელექტრონის მანქანები თიმაშევის და მირზოევის სახლში, ბანკის მართველობის დაუკითხველად. შეატყობინა რა ეს ქალაქის გამგეობას, ბანკმა პოდიში მოიხადა, შეცდომით მოხდა ეს საქმეო, და ეხლა სთხოვს,,ნება მოგვეცით, ფრეილინის ქუჩაც გავანათოთ ელექტრონით, და თუ ნებას არ მოგვცემთ, ყველგან მოვშლით ელექტრონის განათებას, არწრუნი. სეულ ქარავსლის გარდაო.

*** ქუთაისი: აქაურს სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი 7 დეკემბერს ყველანი დაითხოვეს, რადგანაც ამ სასწავლებელში ძლიერ მძვინვარებდა ყელის ტკივილი.

*** სოფ. ქარდა (გორის მაზრა): აქ ძლიერ არის გავრცელებული ყვავილი, ყელ-პირება და ყივანა-ხველა. აქაური სკოლის მეგობრებიც გახდნენ ავად, ერთი ყვავილით და ერთი ყელ-პირებით. გაჩნდა თუ არა სკოლაში ყვავილი, ამავე სკოლის მასწავლებელმა უ. გურგენოვმა სჩქაროდ აცნობა ეს ამბავი დირექტორს და აგრედვე მაზრის უფროსს, ამ საქმეს, ცუდადღება მიაქციეთო.

*** დ. ხობა (ზუგდიდის მაზრა): როგორც მოგეხსენებათ, ამ ორის წლის წინად ჩვენი ახალ მოზარდი დაბა ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა და უმეტესი ნაწილი დაბისა გადაიწვა. ამ გარემოებას მაინც არ შეუშინდნენ მცხოვრებნი და ხელ-ახლად შეუდგნენ დუქნების აშენებას. სამწუხაროდ, დუქნებს ხისას აგებენ და არა ქვითკირისას, ხის შენობას-კი დიდი გაფრთხილება უნდა.

წარსულს ოც-და-ცხრა ნოემბერს აქაურს ნორმალურ სკოლაში ქართული წარმოდგენა იყო გამართული, რომლის შემოსავალი, ხარჯს გარდა, დანიშნული იყო ამავე სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ბაიყუში“. მოთამაშენი იყვნენ: ქნნი ო. ერორდანიასი, ჰ. ჯორჯოლიასი და ბ-ნნი ერ. შარა—ძე, ა. გვასალია და სხვანი. მოთამაშეებმა თავიანთი როლები მშვენივრად შეასრულეს. საზოგადოება გვარიანად დაესწრო და ყველანი დიდი ნასიამოვნები დარჩნენ. იმედია, ჩვენი ახალი სცენის მოყვარულნი შემდეგშიაც გაჰმართავენ წარმოდგენებს თავისდა სასახელოდ და საზოგადოების გასართობად. შემოსავალი, ხარჯს გარდა, დაჩრა სკოლას სამ თუმნამდის. ესეც კარგი შესამატია ამ პატარა სასწავლებლისათვის.

*** დ. ძველა-სენაკი: აქაურების მუშტროების ბ ნეტარ-მშვიდობას არავითარი საზოგადო საქმე არ შეარყევს: არც წარმოდგენის გამართვა, არც ერთი და არც მეორე. წარმოდგენების გამართვა-კი ადვილია, რადგან ნასწავლნი, თუ ქალნი და თუ კაცნი, საკმაოდ მოიპოვებიან. აქაური საზოგადოებაც უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურთაგანნი არიან, რომელნიც დიდის სიხარულით მიეგებებიან ამისთანა სასიამოვნო და გასართობს საქმეს.

აქაური ქუჩები მეტის-მეტად უსუფთაოა და ორორო-ჩოლრო. ერთი რომ წვიმა მოვიდეს, საკმაოა, რომ ქუჩებში სულ ტლაპოს მორევი დადგეს. ორიოდე ფარანია და იმასაც არავინ ანთებს, აქაური ბნელს ქუჩებში ღამით გავლა არ შეიძლება.

*** „Н. О.“-ს გაუგონია, რომ ამიერ კავკასის რკინის გზის სამმართველოს მიუღია დეპეშა პეტერბურგიდ რკინის გზის უფროსის ბ-ნ ზლოტნიცკისაგან. ამ დეპეშით ბ-ნ ზლოტნიცკი იუწყება, რომ 1893 წლის სახელმწიფო ხარჯთ - აღრიცხვაში სხვათა შორის აღნიშნულია ხარჯი ბორჯომის და კახეთის რკინის გზის გასაყვანად.

*** 13 ამ თვისას იარმუკაში თეთრაძის დუქანში ჯვარის კაცნი ტატული და ივანე შეიქოვსკი წაეჭიდნენ ჯვარის კაცსვე რემატნიკოვს და თავსა და ხელში დასჭრეს. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავეები შეიპყრეს.

მთავრობის განკარგულებანი

ტფილისი მახელის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორს ა-ძეშაკ ბაბოვს ებოძა ჯილეკსი სისხორობა.

ქუთაისის გუბერნიის სახლხო სკოლების ინსპექტორი კოლეჯსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაქრაძე დანიშნულ იქმნა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ინსპექტორად.

დაბაღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ხრიალეთი. (გურია). დიანის დიდებულ ტაძრის დამწველს, უგუნურს ბერძენს ჰეროსტრატეს წაბპაძეს აქ და 5 დეკემბერს, საღამოზე, ეკლესიას განზრახ ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს. ეს ღვთისა და კაცის საწინააღმდეგო საქმე ჰეროსტრატმა სახელის გულისათვის ჩაიდინა, აქაურებმა-კი ქრისტიანით, ჟინიანობით, გულმკვარტლიანობით. გურიაში ბევრ ნაირი საზიზღარი ავ-კაცობა მომხდარა, მაგრამ არავის ახსოვს, რომ ამის მეტი გამოჩენილიყოს „ღვთის პირიდგან წასული“ კაცი, რომელსაც ეკლესიის დაწვა გაებედოს, და ბევრსაც ლაპარაკობენ გურულები ამ ახალ-მოდის ბოროტ-მოქმედებაზედ. ცოტა შორიდგან უნდა მოვყეგე ამ ამბის აწერას, გრძელი ლაპარაკიც მომივა, ამიტომ ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან.

ხრიალეთში არის „ძველის-ძველი“, (როგორც ამბობენ, თამარ მეფის აშენებული), სულ პატარა, „ერთიანახ“ ქვის ეკლესია, რომელიც სიდიდით საბერო სენაკს უფრო ჰგავს, ვიდრე ეკლესიას; შიგ შეიძლება დაეტიოს დიდის გაჭირვებით 30 ადამიანი, მრევლი-კი 90 კომლამდე ითვლება (ცოტა რომ ვსთქვათ, 630 სული). ეკლესია აშენებულია ძნელ ასავალ მაღალ „კორტოხზე“ (გორა) და მახლობლად მოსახლე კაცი ნაკლებად არის.

წელიწად-ნახევარია მას შემდეგ, რაც აქ მობრძანდა ეკლესიის დასათვალიერებლად მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია - სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ. წირვის შემდეგ მღვდელ-მთავარმა ქადაგება სთქვა ეკლესიის მნიშვნელობის შესახებ, მერე თავ-მოყრილს მრევლს უთხრა: „ვერაფერი თავ-მოსაწონია თქვენთვის ასეთი ეკლესიით. ამოდენა მრევლი იყოს და ასეთი პატარა ეკლესია, არ გამიგონიაო, რასა ჰგავს ეს, რომ ღვთის მსახურების დროს მომეტებული ნაწილი ხალხისა ყოველთვის იძულებული გარედ იდგეს. ამ გვარის წირვა-ლოცვის მოსმენით ჯეროვანი სასოება არ აღეძრება ადამიანს და არც ეკლესია შეუყვარდებაო. ერთის სიტყვით, ახალი უნდა აიშენოთ. თუ ქვა ახლო-მახლო არ იშოვება, შორიდამ მოტანა არ შეგიძლიანთ, დაანებეთ თავი ძვირფასის ქვის ეკლესიის აშენებას, ხისა იყოს, მაგრამ, რაც შეიძლება, მკვიდრი, სრული, კარგს გეგმაზე ააშენეთო“.

მღვდელ-მთავრის ჩაგონება კეთილად მიიღო ხალხმა და გადასწყვიტა ეკლესიის აშენება, მაგრამ შეეჭნათ ცილობა საეკლესიო ადგილის გამო. ეპისკოპოსმა აუხსნა ხალხს, რამდენად დამღუპველი, დამჩაგვრელი და დამამცირებელია ხალისათვის ერთმანეთის მიუღოლობა და უთანხმოება სასიკეთო საქმეშიო; ურჩია, მორიგებულიყვნენ და ეჩვენებინათ სოფლის საშუალო ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო ეკლესია. ბევრის ლაპარაკის შემდეგ, როგორც იყო, იმავე დღეს მორიგდნენ და დანიშნეს საეკლესიო ადგილი, რომელიც აკურთხა მღვდელ - მთავარმა. მთელმა მრევლმა დაადგინა განაჩენი, აქ ეკლესია ავაგოთო. დაიწყეს ეკლესიის აშენება. 28 კომლი კაცი განზე დადგა და გამოაცხადა, რომ „არა გვსურს სხვა ალაგას, სადაც ძველი ეკლესიაა, იქ გვინდა ახალიცო“. ფორნეს საჩივრის ქაღალდები აქეთ-იქით, მაგრამ საწადელი არ აუსრულდათ. ასეშენებელი ფული თანასწორად გაანწიეს, როგორც მსურველებს, ისე მოწინააღმდეგეებს.

— ისე, რავაც მოახერხო.

ამ ლაპარაკით და მხურვალე კეთილით დამორდნენ ერთმანეთს ქრისტინე და იასონ—უკანასკნელ ნახვის დროს.

დანიშნულ დღეს ქრისტინე მივიდა პაემანზე. მაგრამ იასონ ჯერ არ მოსულიყო. რომ იმის მოსვლამდე გული დაეგულვებინა, ქრისტინე დაჯდა მდინარის ნაპირას და დაუწყო ყურება წყალს, რომელიც საიდუმლო დუდუნით მითამაშებდა. წყლის დუდუნს ქრისტინეც ააყოლა ხმა და ნაღვლიანად, ძლივს გასაგონის ხმით ღიღინებდა:

„ვინ იფიქრებს ქვეყნის გადმობრუნებას,
„ვინ შეუცვლის ჩემ საყვარელს გუნებას“.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება

და — აი დღეს, აი ხვალ დავიწერთ ჯვარსაო. გადიოდა ამ ტკბილ იმედში დრო. უკანასკნელ ქრისტინეს დაეტყო ორსულობა. მართალია, ამას ჯერ, თითონ ქრისტინეს და იასონს გარდა, ვერავინ ამჩნევდა. მაგრამ შემდეგ, თუ ჯვარის დაწერას დროიანად ვერ მოასწრობდნენ, რა თქმა უნდა, ხალხი გაიგებდა ქრისტინეს ორსულობას. ამიტომაც იყო, რომ ქრისტინეს შიშის ტრუანტელი უვლიდა ტანში და აჩქარებდა იასონს.

— თუ გიყვარდე, იასონ, სანამ ქვეყნის ყბათ ასალები გახთებოდეს ჩვენი საქმე, მოვასროთ ჯვარის დაწერა. მართალია, შენ ჩიე—რის გეშინია, რაც უნდა იქნას, მაინც ჩემი ხარო. მეც ვიცი—შენი ვარ. მარა ქვეყნის ამბავი ხომ იცი, თუ ჯვარდაუწერელს შემატყეს ორსულობა, იმისთანებს-კი იტყვიან, რომ მე ველა გუთუძლებ იმას. მერე შენთვისაც ხომ საწყენი იქნება, მე რომ ლანძღვას დამიწყებენ. სხვაი-სხვაია და დედ-მამასაც ვერ დავიჯერებ— იასონ შენ რავა წაგიყვანს ცოლათო, მეტყვიან და შავს დღეს დამაყენებენ. იასონ, რავაც ღმერთი კაა მაღლა, ესე ვიცი, შენ არ მიღალატებ. მარა, ნუ გეწყინება ამის თქმაი, გული მაინც რაცა შიშით მიკანკალებს, ამ ბოლოს სულ ამის ფიქრში ვარ— იასონსაც უყვარვარ, არც მიღალატებს, მარა აი საქმე მაინც არ იქნება-მეთქი. ათას გვარი სიზმრები-კი მესიზმება ღამე: ხან ვითამ ჯვარ დაწერილი ვართ, შენსას მაქ ბინა, მარა დედ-მამა შენი მიწყლებიან, სამინელი თვალით მიყურებენ და სახლიდგან გაგდებას მიპირობენ. ხან ვითამ საყდარში ვართ, მარა ღვდელი უარს ჩიეა—ჯვარს არ დავწერო. ხან ვითამ ამ წიფლის ძირში გიცთი, გიყურებ, გიყურებ, გული მიდნება, მარა შენ არ ჩანხარ. გუშინღამ მესიზმრა: ვითამ ამ წიფლის ძირში გიცთი. ვიღმე, ქედიდან ჩამოირბინა უშველებელმა ცოფიანმა გველმა, მომაშურა და, რომ უნდა დამგლეჯოს, ამასობაში მომისარი შენ, ჰკარი მგელს თოფი და გაგიგორე. რავიცი, რა არ მესიზმება, ხან კაი და ხან ავი! მარა სიზმრებს ახლა თავი დავანებოთ. შენ ჩიე—თუ ამ კვირეს არა, მეორეკვირეს მაინც დავიწერ ჯვარსო?

— ასე მაქ გადაწყვეტილი. ვერც რამე დამიშლის, მგონია. უპასუხა იასონმა.

— ჯვარის დაწერამდი ხომ კიდევ ენახავთ ერთმანეთს?

— ჯვარის დაწერამდი?.. კი, რავა არა.

— სად, აქანაი ხომე?

— აქანაი.

— როის მოვიდე?

— როის?.. პარასკევს.

— ასე გვიან?

— კაი, თუ გინდა, სამშაფათს იყოს.

— მაშინ ნამდვილ ამბავს მეტან—ამ კვირეს იქნება, თუ იმ კვირეს?

— მევიტან, რა თქმა უნდა.

— ადრე მოვიდე ხომე, ნასაღილევს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდ ნახევარ მანეთზედ მეტი იქნება (1,564,000,000 მ.). ამას გარდა დროებით-ვალდებულ 1890 წელს გლეხებს თავი გამოუსყიდიათ ბატონყმობიდგან მოგება რგებია კიდევ თავად-აზნაურობას 570 მილლიონ მანეთი. მასთან იმავე დროს სალეხო ბანკის შემწეობით თავად-აზნაურობის მიწა 62 მილიონ მანეთისა უყიდნიათ გლეხებს. მაშასადამე, აღნიშნულ დროს თავად-აზნაურობას სულ 2,196 მილიონ მანეთი ვალი ჰქონია. ტყეებისა და სამთო-სარეწაო ნაკეთობებიდგან რამდენი აუღია თავად-აზნაურობას — შეუძლებელია ამის გამოანგარიშება და, რო შეიძლებოდეს, ბევრად მეტ ფულს შეადგენს, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ ცნობიდგანა სჩანს. და აი ამბობს, ავტორი წერილისა, ბ-ნი ეგანოვი— 1861 წელს ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ 30 წელმა გაიარა, თავად-აზნაურობამ ამ ხნის განმავლობაში ორ მილიარდზე მეტი მანეთი აიღო და მეურნეობა-კი ისევ იმ სამწუხარო სურათს წარმოადგენს, როგორც ბატონ-ყმობის დროს იყოვა.

— „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, საიურიდიო ჟურნალ „Юридическій Вѣстникъ“-ი, რომელიც დიდი ხანია რაც იბეჭდება, და ჟურნალი „Юридическая Лѣтопись“ ახალ წლიდგან აღარ დაიბეჭდება. უკანასკნელი წიგნები ამ ჟურნალებისა დეკემბერს გამოვაო.

—სახელმწიფო საბჭოს დაუდგენია: შინაგან სამინისტროს უწყების სასტატისტიკო განყოფილებას მიენდოს შემუშავება იმ პროექტისა, თუ როგორ უნდა მოხდეს სახალხო აღწერა და, რაც შეიძლება, მალე წარმოუდგინოს სახელმწიფო საბჭოსაო.

წვრილი ამბავი

რუმინიის დედოფალი ელისაბედ მოელს ცუდათ ცნობადი მწერალია, „კარმენ სილვას“ სახელით. დედოფალი რამდენიმე თოვეა, რაც დედასთან სცხოვრობს მეუდრო ადგილას, მაშა-პატეკულ ცისკარ-ქოშაში და წიგნების კითხვით, წერით და მუსიკით ერთობა. ამ ბოლოს დროს დედოფალ ელისაბედს დაუწერია ახალი რომანი სოფლის ცხოვრებაზეც; რომანს სახელად „თოკები“ ჰქოდა. ამის გარდა დედოფალს რამდენიმე სასიამოვნო ლექსიც გადუთარგმნია გერმანულ ენიდგან.

— 20 ნოემბერს გარდაიცვალა 72 წლის გამოჩენილი ელექტრო-ტექნიკოსი გუსერ სამენსი. როცა სამენსი 1874 წელს ბერლინის სამეცნიერო აკადემიამ წევრად მიიღო, დედაენაზედ მეცნიერმა დიფერენციონში ახალ-აკადემიკოს „ტექნიკის ეროლად ქ ელექტრო-მაგნეტიზმის „ჯემს ვატა“ უწოდა. სამენსმა ბევრნაირად გააკაცრა ტელეგრაფის საქმე და ელექტრო-ტექნიკაშიაც ბევრი ახალი რამ აღმოაჩინა. სამენსის ბევრი ამრომა რუსეთში ტელეგრაფის გასპრთვისთვის. კაკასიაშიც ბევრჯელ უოფილა სამენსი და მის მიერ გაბედულად მეშვეობაში აქვს ჩვენის ქვეყნის მშვენიერ ბუნებასა და მეცნიერებას შესანიშნავ ბუნებასა და მეცნიერებას შესანიშნავ ბუნებასა და მეცნიერებას შესანიშნავ

დაფით და მიწა 189 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1168 მან. 4 კაპ. შეს. გარ. 167 მან. 50 კაპ., სულ 1335 მ. 54 კ.

მატარაძეთა: მიხაილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 467 მ. 16 კ. შეს. გარ. 71 მ. 20 კ.. სულ 538 მ. 27 კ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვადრ. ქაჟ. და 1 კვადრ. ალაბი. თავნი ვალი 1868 მ. 97 კ. შეს. გარ. 514 მ. 68 კ., სულ 2383 მ. 65 კ.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 194 მ. 46 კ. შეს. გარ. 59 მ. 40 კაპ., სულ 253 მ. 86 კ.

მემკვიდრეთა ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 63 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 311 მ. 49 კ. შეს. გარ. 95 მ., სულ 406 მ. 49 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 1000 კვ. საჟ. თავნი ვალი 428 მ. 25 კ. შეს. გარდ. 117 მ. 83 კ., სულ 546 მ. 8 კ.

ალავიძეთა: ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვ. საჟ. თავნი ვალი 506 მ. 2 კ. შეს. გარ. 123 მ. 18 კ., სულ 629 მ. 20 კ.

გელაზაროვისა, სტეფანე ანტონის ძის: ნიჟარაძის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 44 კვ. საჟ. თავნი ვალი 548 მ. 13 კ. შეს. გარ. 107 მ. 6 კ., სულ 655 მ. 19 კ.

ეზიკოვისა, რაფაელ სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 44 კვ. საჟ. თავნი ვალი 1012 მ. 1 კ. შეს. გარ. 232 მ. 22 კ., სულ 1244 მ. 23 კ.

კანდელაკისა, დომენტი სიმონის ძის: რიონის ქუჩაზედ ორ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 353 კვ. საჟ. თავნი ვალი 421 მ. 75 კ. შეს. გარ. 113 მ. 6 კ., სულ 534 მან. 81 კ.

ფიჩხაძეთა: მანუახა, აბრამა და შამოელა შაფთას ძეთა: ბაზრის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 11,8 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1265 მ. 6 კ. შეს. გარ. 224 მ., სულ 1489 მ. 6 კ.

ცქიტიშვილისა, ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვ. საჟ. თავნი ვალი 84 მ. 37 კ. შეს. გარ. 29 მ., სულ 113 მ. 37 კ.

ბელოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზედ ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 120 კვ. საჟ. თავნი ვალი 317 მ. 32 კაპ. შესავ. გარ. 75 მ. 84 კ., სულ 393 მ. 16 კაპ.

ბუზიაშვილთა: ისრაილ ელოს ძის, შამოელა, მიხაელ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ. და 5 კვ. ალაბი. თავნი ვალი 1812 მ. 53 კ. შეს. გარ. 377 მ. 95 კ., სულ 2190 მან. 48 კაპ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის ორპირის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1359 მ. 36 კ., შეს. გარ. 427 მ. 44 კ., სულ 1786 მან. 80 კ.

ჯუბანეიშვილი, მეთოდე დიმიტრის ძის: არქიელის გორაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 725 მ. 2 კ. შეს. გარ. 121 მ. 98 კ., სულ 847 მან.

კანდელაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: თბილისის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 300 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1812 მ. 52 კ. შეს. გარ. 351 მ. 36 კ., სულ 2163 მან. 88 კაპ.

მურადოვისა, ეკატერინე, და ნიკოლაიშვილისა, ოქროპირის: ალექსანდრეს ქუჩაზედ ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2265 მ. 46 კ. შეს. გარ. 451 მ. 91 კ., სულ 2717 მან. 37 კაპ.

უტულოვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხეილის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 876 მ. 14 კ. შეს. გარ. 137 მ. 20 კ., სულ 1013 მან. 34 კაპ.

ჩარკვიანისა, ეკატერინე ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზედ ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 383 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 317 მ. 25 კ. შეს. გარ. 70 მ. 44 კ., სულ 387 მ. 69 კ.

ჯინოშვილისა, პავლე ივანეს ძის: მიხეილის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3772 მ. 6 კ. შეს. გარ. 533 მ. 91 კ., სულ 4305 მ. 97 კ.

მიხაილოვისა, ალექსანდრე ევგენის ძის: ფრანგების ქუჩაზედ ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 კვ. საჟ. თავნი ვალი 592 მ. 15 კ. შეს. გარ. 82 მ. 50 კ., სულ 674 მ. 65 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზედ ერთი სახლი ქვითკირისა და მიწა 422 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 918 მ. 66 კ., შეს. გარ. 165 მ. 15 კ., სულ 1083 მ. 81 კ.

მდივნისა, ბესარიონ მიზარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 1575 კვ. საჟ. თავნი ვალი 1209 მ. 8 კ. შეს. გარ. 276 მ. 79 კ., სულ 1485 მ. 87 კ.

ფეიქაროვისა, ალექსი სიმონის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 133 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 193 მ. 36 კ. შეს. გარ. 51 მ., სულ 244 მ. 36 კ.

ფიჩხაძისა, შამუელა და მანუახა შაფთას ძეთა: ბაზრის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 6,3 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 967 მ. 30 კ. შეს. გარ. 105 მ. 44 კ., სულ 1072 მ. 74 კ.

წულეისკირისა, პეტრე ვასილის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $7^1/_2$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 870 მ. 36 კ. შეს. გარ. 137 მ. 20 კ., სულ 1007 მ. 56 კ.

ჩარექოვისა, პეტრე იოსების ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2417 მ. 94 კ. შეს. გარ. 276 მ. 1 კ., სულ 2692 მ. 95 კ.

ჩხეიძისა, იოსებ მამუკას ძის დარჩენილი საზოგადო ვაჭრობით, მღვდელს გიორგი ანდრიას ძეს მაჭავარიანზე: ლევაშოვის ქუჩაზედ ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 247 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3701 მ. 33 კ. შეს. გად. 558 მ. 54 კ., სულ 4259 მ. 87 კ.

შავგულიძეთა, პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 725 მ. 32 კ. შეს. გარ. 138 მ. 82 კ. სულ 864 მ. 14 კაპ.

შავგულიძისა, თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 კვ. საჟ. თავნი ვალი 193 მ. 44 კ. შეს. გარ. 51 მ. სულ 244 მ. 44 კ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: თბილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1847 მ. 55 კ. შეს. გარ. 199 მ. 60 კ., სულ 2047 მ. 18 კ.

აგტესი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1317 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4105 მ. 66 კ. შეს. გარ. 661 მ., სულ 4766 მ. 66 კ.

ბებურიშვილისა, გიორგი გურგენის ძის: თბილისის და მიხაილის ქუჩებს შუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 296 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 11239 მ. 36 კ. შეს. გარ. 1795 მ. 63 კ., სულ 13034 მ. 99 კ.

ბინიაურიშვილისა, აბრამ მოშეს ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა $77^1/_2$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 923 მ. 71 კ. შეს. გარ. 201 მ. 39 კ., სულ 1125 მ. 10 კ.

ბეთანოვისა, ფრანც პეტრეს ძის: ხონის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1217 კვ. საჟ. თავნი ვალი 513 მ. 24 კ. შეს. გარ. 88 მ. 75 კ., სულ 601 მ. 99 კ.

დამბაშიძისა, ესტატე ბესარიონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 153,57 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 513 მ. 21 კ. შეს. გარ. 83 მ. 10 კ., სულ 596 მ. 31 კ.

ქორქაშვილისა, მარიამ სიმონის ასულის და ქუთათელაძის, ივანე პაატას ძის: ორპირის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირი სახლი და მიწა 345 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1026 მ. 37 კ. შეს გარ. 157 მ. 69 კ., სულ 1184 მ. 6 კ

ქურთოვევისა, ლევან ივანეს ძის: ტბილისის ქუჩაზედ ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 157 კვად. საჟ. თავნი ვალი 9525 მ. 18 კაპ. შეს. გარ. 1411 მ. 66 კ., სულ 10936 მ. 84 კ-

კბტიოლკინისა, მარიამ მიხაილის ასულის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 228 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 256 მ. 51 კ. შეს. გარ. 48 მ. 76 კ., სულ 305 მ. 27 კ.

მეკინულოვისა, იაკობ ისხაკის ძის: გაგარინის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 101 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1385 მ. 64 კ. შეს. გარ. 241 მ. 51 კ., სულ 1627 მ. 15 კ.

ნიკოლაევის, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 718 მ. 47 კ. შეს. გარ. 93 მ. 20 კ., სულ 811 მ. 67 კ.

რიცინაშვილისა, სიფორა ელოს ასულის: ფრანგების ქუჩაზედ ორ-სართულიანი სახლი და მიწა 71 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 615 მ. 82 კ. შეს გარ. 82 მ. 50 კ., სულ 698 მ. 32 კ.

რუხაძისა, ლუკა ნიკოლოზის ძის, და ახალედიანისა იასონის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79,5, კვადრ. საჟ. თავნი ვალი 256 მ. 52 კ. შეს გარ. 55 მ. 54 კ., სულ 312 მ. 6 კ.

საააკოვისა, მაგდალინა იაკობის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 95 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 513 მ. 22 კ. შეს. გარ. 83 მ. 10 კ., სულ 596 მ. 32 კ.

ხითაროვისა, სოლომონ გრიგოლის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზედ ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 51 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 5080 მ. 68 კ. შეს. გარ. 721 მ. 27 კ., სულ 5801 მ. 95 კ.

